განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

## სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 6 თებერვალი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 5 აპრილი, 2019

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | გამოყენებითი სტატისტიკა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა ( მეორე საფეხური) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სტატისტიკის მაგისტრი 1117 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სიმონ გელაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო აბესაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ბაჩუკ ბოკუჩავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ფუნდამენტური ღრმა ცოდნის მიღება სტატისტიკურ მეთოდებში და მისი გამოყენება თანამედროვე სხვადასხვა მეცნიერებისა თუ პრაქტიკის რეალური პრობლემების გადასაწყვეტად ინფორმაციული ტექნოლოგიების, ასევე კომპიუტერული ექსპერიმენტის საშუალებით. გამოყენებითი სტატისტიკის მეთოდები ინტენსიურად გამოიყენება ტექნიკურ კვლევებში, ეკონომიკურ მენეჯმენტში, სოციოლოგიაში, მედიცინაში, ბიოლოგიაში, გეოლოგიაში და სხვა დარგებში. დაკვირვებებთან, გაზომვებთან, ცდების შედეგებთან და მათ ანალიზთან საქმე აქვთ თეორიული თუ პრაქტიკული დანიშნულების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. პროგრამა 120 კრედიტს მოიცავს, საიდანაც 108 კრედიტი ძირითად სავალდებულო სასწავლო კურსების (მათ შორის მინი პროექტი - 6 კრედიტის მოცულობით და სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტის მოცულობით) და 12 კრედიტი კი - არჩევითი სასწავლო კურსები. შესაბამისად, მაგისტრატურის პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს.

გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი იყო რეაკრედიტაციაზე, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის შეფასება მოუხდათ როგორც ახალი პროგრამა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილი პროგრამის იგივე სახელწოდების მიუხედავად პროგრამამ შეიცვალა კვალიფიკაცია, ნაცვლად გამოყენებითი მათემატიკის მაგისტრის ხარისხისა (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით 050102 - ქვედარგი/სპეციალიზაციის კოდი) ახალი პროგრამა ანიჭებდა სტატისტიკის მაგისტრის ხარისხს (1117 - დარგი/სპეციალობის კოდი).

მაგისტრატურის გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო პროგრამას (რომელიც ანიჭებდა გამოყენებითი მათემატიკის მაგისტრის ხარისხს) 2012 წლის 11 დეკემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N770 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 6 თებერვალს. ვიზიტამდე, 5 თებერვალს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (რუსუდან სეთურიძე, სიმონ გელაშვილი, ნინო აბესაძე, ბაჩუკ ბოკუჩავა), 16$^{00}$ საათიდან 18$^{00}$ საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა.

ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

6 თებერვალს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9$^{00}$ საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, წინა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი არ არის შესაბამისობაში სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი - არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.1, 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.3 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 2.2 კომპონენტი კი არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 3.2 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.1 და 4.2 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სადაც 5.1 და 5.3 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა;
2. პროგრამის სწავლის შედეგების მეტი ინტენსივობით შეფასების, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის გამოყენებისა და მთლიანად სასწავლო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია მაქსიმალურად მოკლე დროში (ბაკალავრიატის საფეხურზე დანერგილია) მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულად დანერგვა;
3. მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების ნაწილი გადამუშავდეს მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად.
4. მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაფიქსირდეს არანაკლებ B2 დონის ინგლისური ენა (ან ინგლისური ენის საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატი, რომელიც დაადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე).
5. **კვალიფიკაციის ცვლილებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შესაბამისად განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:** პროგრამის სავალდებულო კურსებს დაემატოს: ,,სტატისტიკური კვლევის მეთოდები", ,,ეკონომიკური სტატისტიკა", ,,დემოგრაფიული სტატისტიკა", ,,ბიზნესის სტატისტიკა", ,,ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა", „მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი STATA-ს ან SPSS-ის გამოყენებით"; ამოღებულ იქნეს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან: „დისპერსიული ანალიზი", „ფინანსური სტატისტიკა", „სადაზღვევო მოდელები"; დაკორექტირდეს და გადატანილ იქნეს სავალდებულო კურსად არჩევითი სასწავლო კურსი „დროითი მწკრივები და პროგნოზირება" შემდეგი სახელწოდებით: „დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება"; სასწავლო კურსი „ალბათობის თეორიის რჩეული თემები" დაკორექტირდეს და ეწოდოს „ალბათობის თეორიის გაღრმავებული კურსი"; სასწავლო კურსების ,,გამოყენებითი პროგრამების პაკეტები Matlab 1 დ 2" ნაცვლად შეთავაზებული იქნეს სასწავლო კურსი „მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი STATA-ს ან SPSS-ის გამოყენებით"; „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები 1

და 2“ გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად. არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს: ,,გამოყენებითი ეკონომეტრიკა“; „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“; „საერთაშორისო სტატისტიკა“; „ტურიზმის სტატისტიკა“; არჩევით სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნეს „ფინანსური აღრიცხვა“, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის საგანია და მჭიდრო კავშირი არა აქვს სტატისტიკასთან;

6. პრაქტიკული, პროფესიული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარების მიზნით მიზანშეწონილია ,,მინი პროექტის“ ნაცვლად პროგრამაში ჩაისვას ,,პროფესიული პრაქტიკა“;
7. მიზანშეწონილია სასწავლო კურსის ,,დარგობრივი ინგლისურის“ შესწავლის წინაპირობად განისაზღვროს B2 დონის ინგლისური ენა;
8. რეკომენდებულია გადაფარვების თავიდან ასაცილებლად მაქსიმალურად იქნეს გამიჯნული ერთმანეთისაგან ცალკეულ სასწავლო კურსებში განხილული თემატიკა.
9. მიზანშეწონილია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა;
10. სასწავლო კურსების შინაარსსა და კრედიტების რაოდენობასთან შესაბამისობის დასაზუსტებლად მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურას მიეწეროს, როგორც მთლიანი, ასევე ასათვისებელი გვერდების რაოდენობა და ყოველი თემის გასწვრივ მიეთითოს შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურა;
11. მიზანშეწონილია გაფორმდეს ახალი მემორანდუმები პროფილურ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან, ხოლო მოქმედ მემორანდუმებში დაზუსტდეს გასაგზავნი კონტიგენტის რაოდენობა;
12. მიზანშეწონილია სილაბუსებში ჩაირთოს მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი შეფასების მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა პრეზენტაცია და რეფერატი.
13. მიზანშეწონილია ყველა სილაბუსში მეთითოს, თუ რამდენი ქულის დაგროვების შემთხვევაში ეძლევა სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება.
14. მიზანშეწონილია ზოგიერთ სილაბუსში დეტალურად ჩაიშალოს სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები.
15. მიზანშეწონილია მოიძებნოს სხვადასხვა მექანიზმები ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისებისათვის.
16. მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის გადამზადება სწავლის შედეგების შეფასებასა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში.
17. მიზანშეწონილია უსდ-მა/ფაკულტეტმა პერმანენტულად გააგრძელოს აკადემიური პერსონალის უცხო ენებში ტრენინგების შეთავაზება.
18. რეკომენდებულია ხარისხის სამსახურმა რეალურად განავითაროს გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში ხარისხის უზრუნველყოფის “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლი.
19. რეკომენდებულია ხარისხის სამსახურმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარება პროგრამასთან მიმართებაში.
20. რეკომენდებულია ამოქმედდეს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში;
21. მიზანშეწონილია ხარისხის სამსახურმა სისტემატურად განახორციელოს პროგრამის მონიტორინგი და შეფასება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი პროგრამის წინაპირობებში ჩამოთვლილ სფეროები, პროგრამის მიზნებში ჩამოთვლილ სფეროები, დასაქმების სფეროები და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა.
- ✓ სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში აისახოს უცხო ქვეყნის რეზიდენტებისთვის პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობები.
- ✓ სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში სიტყვა „ბაკალავრის“ მაგივრად ჩაიწეროს „ბაკალავრი და მასთან გათანაბრებული“.
- ✓ სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა ასე ჩამოყალიბდეს: “პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი“.
- ✓ სასურველია სასწავლო კურსების თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იქნეს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად სამიზნე ნიშნულთან დადარება.
- ✓ სასურველია სასწავლო კურსებში დაკორექტირდეს სწავლა-სწავლების მეთოდები კერძოდ, აისახოს მხოლოდ იმ მეთოდების ჩამონათვალი, რომელიც რეალურად გამოიყენება სილაბუსებში.
- ✓ სასურველია სასწავლო კურსებში თანამედროვე მეთოდებისა და აქტივობების (მაგალითად, პრაქტიკული სამუშაოების/როლური თამაშების/სიმულაციების) ინტეგრირება.
- ✓ სასურველია საერთაშორისო კუთხით შეთავაზებული აქტივობების გამრავალფეროვნება და პერიოდულად საერთაშორისო სპეციალისტების ჩამოყვანა, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ სტუდენტებს.
- ✓ სასურველია გაგრძელდეს სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შეძენის პროცესი.
- ✓ სასურველია პროგრამის გარე შეფასების მექანიზმების გასაუმჯობესებლად შეძლებისდაგვარად ქართველ ექსპერტთან ერთად მოხდეს უცხოელი ექსპერტის ჩართვა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები

შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც მოიცავს შემდეგს: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 1932 წელს დაარსებული სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან სოხუმის/აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) უშუალო სამართალმემკვიდრეს. ის არის მრავალსაუკუნოვანი ზოგადქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მატარებელი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ეფუძნება ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერ და ინტელექტუალურ ფასეულობებს, მულტიკულტურული სისტემების მდგრადობის განმსაზღვრელ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; გააჩნია განსაკუთრებული ეთნიკური, მენტალური და სოციოკულტურული ფასეულობების შემაკავშირებელი ფუნქცია - ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის უკანასკნელ ათწლეულებში გაჩენილი მენტალური გაუცხოების აღმოფხვრისა და აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების აღდგენის პროცესის ხელის შეწყობა - ეს განსაკუთრებული მისია, რომელიც უპირატესობასთან ერთად, საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობაცაა, აჩენს შესაძლებლობას, რომ უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო კერასთან ერთად, იქცეს კონფლიქტების კვლევის რეგიონულ ცენტრად.<br>უნივერსიტეტის მისიაა კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მაღალ ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისათვის განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა.<br>ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით მიზანი შემდეგია: „გამოყენებითი სტატისტიკის მეთოდები ინტენსიურად გამოიყენება ტექნიკურ კვლევებში, ეკონომიკურ მენეჯმენტში, სოციოლოგიაში, მედიცინაში, ბიოლოგიაში, გეოლოგიაში და სხვა დარგებში. დაკვირვებებთან, გაზომვებთან, ცდების შედეგებთან და მათ ანალიზთან საქმე აქვთ თეორიული თუ პრაქტიკული დანიშნულების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. ფუნდამენტური ღრმა ცოდნის მიღება სტატისტიკურ მეთოდებში და მისი გამოყენება თანამედროვე სხვადასხვა მეცნიერებისა თუ პრაქტიკის რეალური პრობლემების გადასაწყვეტად ინფორმაციული ტექნოლოგიების, ასევე კომპი-უტერული ექსპერიმენტის საშუალებით“.<br><br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, სტრატეგიულ გეგმასთან და ნათლად არის |

ჩამოყალიბებული.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებიდან გამომდინარე პროგრამა ორიენტირებულია დარგისა და საზოგადოების განვითარებაზე.

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებობს მოთხოვნა გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის მისია;
- სსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- თვითშეფასების კითხვარი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, წინა პროგრამის სტუდენტებთან, გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ანიჭებს სტატისტიკის მაგისტრის ხარისხს (1117 - დარგი/სპეციალობის კოდი). სტატისტიკის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (ბრძანება #120/ნ. 2010 წლის 10

| |
|---|
| დეკემბერი) დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან და არ შეესაბამება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებით სტატისტიკის მაგისტრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებული ვერ უზრუნველყოფს სტატისტიკის დარგობრივ კომპეტენციებზე გასვლას (იხ. რეკომენდაცია 2.2), ამიტომ პროგრამის სწავლის შედეგები ვერ იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე გადასვლის საშუალებას. შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ვერ აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას.<br>მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების ნაწილი გადამუშავდეს მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნების შესაბამის შედეგებზე გასასვლელად (მაგ. სწავლის შედეგში ცოდნა გაცნობიერება მოცემულია: „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების ცოდნა“ და სხვ., ხოლო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში კი: „მონაცეთა ბაზებთან მუშაობის უნარ-ჩვევები“ და სხვ.)<br>პროგრამის სწავლის შედეგების მეტი ინტენსივობით შეფასების, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზისა და მთლიანად სასწავლო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია მაქსიმალურად მოკლე დროში (ბაკალავრიატის საფეხურზე დანერგილია) მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულად დანერგვა.<br>ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ შრომის ბაზარზე არსებობს მოთხოვნა გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• წინა პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>• ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, წინა პროგრამის სტუდენტებთან და გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან;<br>• გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი;<br>• ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/ |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების მეტი ინტენსივობით შეფასების, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზისა და მთლიანად სასწავლო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია მაქსიმალურად მოკლე დროში (ბაკალავრიატის საფეხურზე დანერგილია) მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულად დანერგვა;<br>➢ მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების ნაწილი გადამუშავდეს მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |

| |
|---|
| ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | √ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.**<br>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:<br>• ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, სოციალურ მეცნიერებებში, ბიზნესის ადმინისტრირებაში;<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები; B ტესტი;<br>• შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (საგამოცდო საგანი - ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა)<br>• სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები, რომლებიც მობილობის წესით გადმოვლენ აღნიშნულ პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br>პროგრამის დაშვების წინაპირობები და პროცედურები არის საჯარო და |

ხელმისაწვდომი. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე https://www.sou.edu.ge/ განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია დაინტერესებული პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შესახებ, ასევე პროგრამების კატალოგში, ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ მომზადებულ საინფორმაციო ცნობარში.

პროგრამას წინაპირობაში არ აქვს ინგლისური ენა, თუმცა პირველივე სემესტრში ისწავლება ,,დარგობრივი ინგლისური", ამიტომ მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაფიქსირდეს არანაკლებ B2 დონის ინგლისური ენა ან ინგლისური ენის საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატი, რომელიც დაადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ გამოყენებითი სტატისტიკის წინა პროგრამის სტუდენტებთან და გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, რომ სწავლების პროცესში არსებობდა ინგლისური ენის პრობლემები.

სასურველია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი პროგრამის წინაპირობებში ჩამოთვლილი სფეროები, პროგრამის მიზნებში ჩამოთვლილ სფეროებთან, დასაქმების სფეროებთან და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკასთან. ასევე, სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში აისახოს უცხო ქვეყნის რეზიდენტებისთვის პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობები. სასურველია ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში სიტყვა „ბაკალავრის" მაგივრად ჩაიწეროს **„ბაკალავრი და მასთან გათანაბრებული"**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პირთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უსდ-ის გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმასნათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- უსდ-ის ვებ-გვერდით: https://www.sou.edu.ge/
- ინტერვიუ გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო წინა პროგრამის სტუდენტებთან, რომელთაც ენიჭებოდათ გამოყენებითი მათემატიკის მაგისტრის ხარისხი.
- ინტერვიუ გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

- მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაფიქსირდეს არანაკლებ B2 დონის ინგლისური ენა (ან ინგლისური ენის საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატი, რომელიც დაადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე).

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი პროგრამის წინაპირობებში ჩამოთვლილ სფეროები, პროგრამის მიზნებში ჩამოთვლილ სფეროები, დასაქმების სფეროები და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა.
- ✓ სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში აისახოს უცხო ქვეყნის რეზიდენტებისთვის პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობები.
- ✓ სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში სიტყვა „ბაკალავრის" მაგივრად ჩაიწეროს „ბაკალავრი და მასთან გათანაბრებული".

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| |
| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.<br>პროგრამა 120 ECTS კრედიტს მოიცავს, სადაც 108 კრედიტი ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსებია (მათ შორის მინი პროექტი - 6 კრედიტის მოცულობით და სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტის მოცულობით), ხოლო 12 კრედიტი კი - არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტები.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამასთან (იხ.რეკომენდაცია 2.1).<br>პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (11 - მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები, 1117 - სტატისტიკა), ამისათვის მიზანშეწონილია გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნეს სტატისტიკის დარგობრივი სფეროები, რომლებიც უზრუნველყოფენ დარგობრივ კომპეტენციებს უმაღლესი განათლების (ბრძანება #120/ნ 2010 წლის 10 დეკემბერი) საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით, ამისათვის კი მიზანშეწონილია პროგრამაში შემდეგი ცვლილებების განხორციელება:<br>**სავალდებულო** სასწავლო კურსებს:<br>- დაემატოს სასწავლო კურსი ,,სტატისტიკური კვლევის მეთოდები“, რომლის შესწავლაც სტუდენტს მისცემს სხვადასხვა დარგის მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური ანალიზის კვლევის მეთოდებისა და ხერხების სიღრმისეულ ცოდნას;<br>- დაემატოს სასწავლო კურსი ,,ეკონომიკური სტატისტიკა“, რისი შესწავლის შედეგადაც სტუდენტი შეიძენს თანამედროვე მაკრო და მიკროეკონომიკური სტატისტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების სიღრმისეულ ცოდნას;<br>- დაემატოს სასწავლო კურსი ,,ბიზნესის სტატისტიკა“, რაც სტუდენტს მისცემს თანამედროვე ბიზნესის, განსაკუთებით სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურისა და სადაზღვევო სფეროების სტატისტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების |

სიღრმისეულ ცოდნას;

- დაემატოს სასწავლო კურსი ,,დემოგრაფიული სტატისტიკა“, როგორც სტატისტიკის ერთ-ერთი მეტად ფართო და მნიშვნელოვანი დარგი;
- დაემატოს სასწავლო კურსი ,,ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა“, რომლის შესწავლის შედეგადაც სტუდენტი შეიძენს თანამედროვე საჯარო ფინანსებისა და საბანკო სექტორის სტატისტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების სიღრმისეულ ცოდნას;
- სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ამოღებული იქნეს ,,დისპერსიული ანალიზი“, რომლის უმეტესი საკითხები მოცემულია სხვა სასწავლო კურსებში.
- სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ამოღებული იქნეს ,,ფინანსური სტატისტიკა“, რომლის საკითხების ნაწილი წარმოდგენილი იქნება სასწავლო კურსში ,,ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა“;
- სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ამოღებული იქნეს ,,სადაზღვევო მოდელები“, რომლის საკითხების ნაწილი წარმოდგენილი იქნება სასწავლო კურსში ,,ბიზნესის სტატისტიკა“;
- მიზანშეწონილია გადატანილ იქნეს სავალდებულო საგნების ჩამონათვალში არჩევითი სასწავლო კურსი ,,დროითი მწკრივები და პროგნოზირება“ შემდეგი სახელწოდებით: ,,დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება“, როგორც ეს მიღებულია თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში;
- სასწავლო კურსს ,,ალბათობის თეორიის რჩეული თემები“ ეწოდოს ,,ალბათობის თეორიის გაღრმავებული კურსი“;
- მიზანშეწონილია სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან ამოღებული იქნეს ე. წ. ,,მინი პროექტი“ და მის მაგივრად კი წარმოდგენილი იქნეს ,,პროფესიული პრაქტიკა“;
- სასწავლო კურსების ,,გამოყენებითი პროგრამების პაკეტები Matlab 1 დ 2“-ის ნაცვლად შეთავაზებული იქნეს სასწავლო კურსი „მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი STATA-ს ან SPSS-ის გამოყენებით“;
- ,,მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები 1 და 2 “ გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად.

არჩევით სასწავლო კურსებს:

- დაემატოს სასწავლო კურსი ,,გამოყენებითი ეკონომეტრიკა“;
- დაემატოს სასწავლო კურსი „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“;
- დაემატოს სასწავლო კურსი „საერთაშორისო სტატისტიკა“;
- დაემატოს სასწავლო კურსი „ტურიზმის სტატისტიკა“;
- ამოღებულ იქნეს სასწავლო კურსი „ფინანსური აღრიცხვა“ ვინაიდან, იგი არის ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო კურსი და მნიშვნელოვანი კავშირი არა აქვს სტატისტიკასთან.

სასურველია შესწორდეს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა და ნაცვლად „პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი“ ჩამოყალიბდეს

“პროგრამით გათვალისწინებული ყველა **სავალდებულო** სასწავლო კურსი“.

მიზანშეწონილია სასწავლო კურსის ,,დარგობრივი ინგლისურის“ შესწავლის წინაპირობად განისაზღვროს B2 დონის ინგლისური ენა.

რეკომენდებულია მაქსიმალურად იქნეს გამიჯნული ერთმანეთისაგან ცალკეულ სასწავლო კურსებში განხილული თემატიკა, გადაფარვების თავიდან ასაცილებლად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, შესაბამისად პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, წინა პროგრამის სტუდენტები, გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).

**რეკომენდაციები:**

- **კვალიფიკაციის ცვლილებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შესაბამისად განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:** პროგრამის სავალდებულო კურსებს დაემატოს: ,,სტატისტიკური კვლევის მეთოდები“, ,,ეკონომიკური სტატისტიკა“, ,,დემოგრაფიული სტატისტიკა“, ,,ბიზნესის სტატისტიკა“, ,,ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა“, „მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი STATA-ს ან SPSS-ის გამოყენებით“; ამოღებულ იქნეს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან: „დისპერსიული ანალიზი“, „ფინანსური სტატისტიკა“, „სადაზღვევო მოდელები“; დაკორექტირდეს და გადატანილ იქნეს სავალდებულო კურსად არჩევითი სასწავლო კურსი „დროითი მწკრივები და პროგნოზირება“ შემდეგი სახელწოდებით: „დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება“; სასწავლო კურსი „ალბათობის თეორიის რჩეული თემები“ დაკორექტირდეს და ეწოდოს „ალბათობის თეორიის გაღრმავებული კურსი“; სასწავლო კურსების ,,გამოყენებითი პროგრამების პაკეტები Matlab 1 დ 2“ ნაცვლად შეთავაზებული იქნეს სასწავლო კურსი „მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი STATA-ს ან SPSS-ის გამოყენებით“; „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები 1 და 2 “ გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად. **არჩევით** სასწავლო კურსებს დაემატოს: ,,გამოყენებითი ეკონომეტრიკა“; „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“; „საერთაშორისო სტატისტიკა“; „ტურიზმის სტატისტიკა“; არჩევით სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნეს „ფინანსური აღრიცხვა“, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის საგანია და მჭიდრო კავშირი არა აქვს სტატისტიკასთან.
- პრაქტიკული, პროფესიული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარების მიზნით მიზანშეწონილია ,,მინი პროექტის“ ნაცვლად პროგრამაში ჩაისვას ,,პროფესიული პრაქტიკა“;
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსის ,,დარგობრივი ინგლისურის“ შესწავლის წინაპირობად განისაზღვროს B2 დონის ინგლისური ენა;
- რეკომენდებულია გადაფარვების თავიდან ასაცილებლად მაქსიმალურად იქნეს გამიჯნული ერთმანეთისაგან ცალკეულ სასწავლო კურსებში განხილული

| |
|---|
| თემატიკა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა ასე ჩამოყალიბდეს: "პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი" |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამაში ზოგიერთი სასწავლო კურსების მოცულობა და კრედიტების რაოდენობა არ არის შესაბამისობაში ერთმანეთთან, მაგალითად: ,,მონტე-კარლოს მეთოდები", „დისპერსიული ანალიზი" და სხვ. ამიტომ, მიზანშეწონილია გადამუშავდეს სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და მოხდეს კრედიტების დაზუსტება, ამისათვის საჭიროა ძირითად ლიტერატურას მიეწეროს, როგორც მთლიანი, ასევე, ასათვისებელი გვერდების რაოდენობა და სასწავლო კურსების სილაბუსებში ყოველი თემის გასწვრივ მიეთითოს შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურა, ამასთან ამით სტუდენტს ეცოდინება თუ საიდან მოამზადოს ესა თუ ის თემა.<br>სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ნაწილობრივ შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს. ასევე, ის ნაწილობრივ ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში. კერძოდ, გამოყენებითი სტატისტიკა 1 (2000წ., 2005წ., 2008წ.), ფინანსური სტატისტიკა (1999წ.) და ა.შ.<br>სასურველია სასწავლო კურსებში თითოეულ სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იქნეს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად სამიზნე ნიშნულთან დადარება.<br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების |

| |
|---|
| რაოდენობა ნაწილობრივ შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.<br>• გასაუბრება წინა პროგრამის სტუდენტებთან, გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ მიზანშეწონილია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა;<br>➢ სასწავლო კურსების შინაარსსა და კრედიტების რაოდენობასთან შესაბამისობის დასაზუსტებლად მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურას მიეწეროს, როგორც მთლიანი, ასევე ასათვისებელი გვერდების რაოდენობა და ყოველი თემის გასწვრივ მიეთითოს შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>✓ სასურველია სასწავლო კურსების თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იქნეს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად სამიზნე ნიშნულთან დადარება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, |

| |
|---|
| სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ უსდ-ს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, საჯარო ლექციებში, სტუდენტთა დასაქმების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.<br>საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ორიენტირებულია სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნის გაღრმავებაზე, მის სისტემატიზაციაზე, ანალიზზე, თეორიული ხასიათის ნაშრომის შესრულებასა და პრეზენტაციის უნარის განვითარებაზე. სტუდენტები ირჩევენ საკვლევ თემას, ადგენენ სამუშაო გეგმას, ახორციელებენ ინფორმაციის მოძიებას და სათანადოდ დამუშავებას, დასკვნების ჩამოყალიბებას და საჯაროდ დაცვას. ნაშრომზე მუშაობა სტუდენტს უვითარებს დამოუკიდებელი საპროექტო/კვლევითი სამუშაოს წარმართვის უნარებს და ამზადებს წინაპირობებს, რათა სტუდენტმა უფრო მარტივად შეძლოს აკადემიური განათლების მე-3 საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლა, თუმცა კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად და კვლევით პროექტებში ჩართულობის გასაზრდელად მიზანშეწონილია სასწავლო კურსებში ჩართული იქნეს რეფერატის მომზადება (იხ.რეკომენდაცია 2.5).<br><br>პროგრამაში გათვალისწინებული არ არის ისეთი სასწავლო კურსები და კომპონენტები, როგორიცაა ,,სტატისტიკური კვლევის მეთოდები“ და ,,პროფესიული პრაქტიკა“ წინა პროგრამის სტუდენტებთან და გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ, მათი აზრით, პროგრამის განვითარებისათვის კარგი იქნებოდა ამ კურსების ჩართვა, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებას სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად. აღმოჩნდა, რომ პროფესიული პრაქტიკის ნაცვლად პროგრამაში შეიტანეს ე.წ. ,,მინი პროექტი“ სავალდებულო საგნის სტატუსით, თუმცა ის ზოგადად თეორიული ხასიათისაა და ვერ შეცვლის სტუდენტისთვის პრაქტიკული, ტრანსფერული და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. წინა პროგრამის სტუდენტებთან და გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მათ არსად არ გაუვლიათ სასწავლო ან/და პროფესიული პრაქტიკა. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია პროგრამას დაემატოს ,,სტატისტიკური კვლევის მეთოდები“ და ,,პროფესიული პრაქტიკა“ (იხ. რეკომენდაცია 2.2) და გაფორმდეს ახალი მემორანდუმები პროფილურ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან, ხოლო მოქმედ მემორანდუმებში დაზუსტდეს გასაგზავნი კონტიგენტის რაოდენობა.<br><br>ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა<br>• მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან; |

- ინტრევიუ წინა პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

**რეკომენდაციები:**

- მიზანშეწონილია გაფორმდეს ახალი მემორანდუმები პროფილურ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან, ხოლო მოქმედ მემორანდუმებში დაზუსტდეს გასაგზავნი კონტიგენტის რაოდენობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და მეტწილად შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს (მოქნილი გრაფიკი, დამატებითი საკონსულტაციო საათები და ა. შ.).

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: დისკუსია-დებატები, შემთხვევის ანალიზი, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზის და სინთეზის მეთოდები, წერითი მუშაობის მეთოდები. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მეტწილად უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ვინაიდან სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები მეტწილად ერთგვაროვანია. პრაქტიკული

უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით სასურველია პრაქტიკული სამუშაოების/როლური თამაშების/სიმულაციების ინტეგრირება სასწავლო კურსებში.

დოკუმენტაციიდან, წინა პროგრამის სტუდენტებთან და გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სილაბუსების შეფასების მეთოდებში და აქტივობებში არ არის გამოყენებული პრეზენტაცია და რეფერატი, რისი არსებობაც აუცილებლად მიგვაჩნია მაგისტრატურის საფეხურისთვის. ასევე, სასურველია სასწავლო კურსებში დაკორექტირდეს სწავლა-სწავლების მეთოდები კერძოდ, აისახოს მხოლოდ იმ მეთოდების ჩამონათვალი, რომელიც რეალურად გამოიყენება სილაბუსებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის წინა პროგრამის სტუდენტებთან და გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- მიზანშეწონილია სილაბუსებში ჩაირთოს მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი შეფასების მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა პრეზენტაცია და რეფერატი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სასწავლო კურსებში დაკორექტირდეს სწავლა-სწავლების მეთოდები კერძოდ, აისახოს მხოლოდ იმ მეთოდების ჩამონათვალი, რომელიც რეალურად გამოიყენება სილაბუსებში.
- სასურველია სასწავლო კურსებში თანამედროვე მეთოდებისა და აქტივობების (მაგალითად, პრაქტიკული სამუშაოების/როლური თამაშების/სიმულაციების) ინტეგრირება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უნივერსიტეტში შეფასების სისტემა ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად და კანონმდებლობასთან შესაბამისია. მეტი გამჭვირვალობისთვის რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრული იმპლემენტაცია, რათა მაგისტრატურის სტუდენტებს გაუადვილდეთ სასწავლო პროცესში არსებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის ელექტრონულად მიღება (იხ.რეკომენდაცია 1.2).<br><br>წინა პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათთვის შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია, სამართლიანი და გამჭვირვალეა. ლექტორები პირველივე ლექციაზე აცნობენ მათ შეფასების სისტემას. ამასთან, ისინი ლექტორებისაგან იღებენ უკუკავშირს საკუთარ შეფასებებთან დაკავშირებით. ლექტორები უზრუნველყოფენ, რომ მოახდინონ სტუდენტების ინფორმირება გამოცდებში დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებული არიან გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებით.<br><br>წარმოდგენილი პროგრამის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის მითითებული, თუ რამდენი ქულის დაგროვების შემთხვევაში ეძლევა სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. ასევე ზოგიერთ სილაბუსში არ არის დეტალურად ჩაშლილი სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია;<br>• ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ მიზანშეწონილია ყველა სილაბუსში მეთითოს, თუ რამდენი ქულის დაგროვების შემთხვევაში ეძლევა სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება.<br>➢ მიზანშეწონილია ზოგიერთ სილაბუსში დეტალურად ჩაიშალოს სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | √ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი სტატისტიკის წინა პროგრამის (ხარისხი ენიჭებოდათ გამოყენებით მათემატიკაში) სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებულ კონსულტაციებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან. აგრეთვე, იღებენ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერასაც. პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია პერსონალის დატვირთვის სქემაშიც. კონსულტაციის გრაფიკები ხელმისაწვდომია ფაკულტეტზე და ასევე იკვრება სტენდზეც. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე მიმდინარე კვლევითი პროექტების განხორციელებაში, საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო სამეცნიერო და საერთაშორისო კონფერენციებში. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ და აქვთ მათში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცა თავად სტუდენტები არ არიან დაინტერესებულები აღნიშნული სახის ღონისძიებებში მონაწილეობით (შესაძლებელია ერთ-ერთი მიზეზი ენობრივი ბარიერიც იყოს).<br>წინა პროგრამის სტუდენტებთან და გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი დაინტერესებულია სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციით |

| |
|---|
| და სათანადო რეაგირების საკითხით.<br>სასურველია საერთაშორისო კუთხით შეთავაზებული აქტივობების გამრავალფეროვნება და პერიოდულად საერთაშორისო სპეციალისტების ჩამოყვანა, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ სტუდენტებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• დანართის სახით წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია;<br>• ინტერვიურები. |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ მიზანშეწონილია მოიძებნოს სხვადასხვა მექანიზმები ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისებისათვის. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>➢ სასურველია საერთაშორისო კუთხით შეთავაზებული აქტივობების გამრავალფეროვნება და პერიოდულად საერთაშორისო სპეციალისტების ჩამოყვანა, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ სტუდენტებს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. მასში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. კერძოდ, დარგის/ქვედარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხებისა, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას. |

| |
|---|
| წინა პროგრამის თითოეულ მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.<br>წინა პროგრამის სტუდენტებს აქვთ ხშირი კომუნიკაცია ხელმძღვანელებთან, ნებისმიერი სახით შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია ნებისმიერ დროს. ხელმძღვანელების დახმარებით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთ სამაგისტრო ნაშრომები დაამუშაონ და გამოაქვეყნონ სტატიების სახით სამეცნიერო ჟურნალებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სასწავლო კურსის „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსი;<br>○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია;<br>○ ინტერვიუ წინა პროგრამის სტუდენტებთან და გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და უმაღლეს საგანგამანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამა მეოთხე სტანდარტის კომპონენტის 4.1. ,,ადამიანური რესურსის“ მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ, მაგისტრატურის პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 7 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 7 აფილირებული აკადემიური (აფილირებული პროფესორი - 2, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 5) და 1 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემით, რომელიც მოიცავს სასწავლო და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. მასში ასახულია სასწავლო და/ან სხვა დატვირთვა აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (7 აკადემიური/1 მოწვეული) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში. ასევე, მონაწილეობს დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, ვორქშოპი, გაცვლითი პროგრამები, ტრენინგი და ა.შ.), თუმცა მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის გადამზადება სწავლის შედეგების შეფასებასა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში. |

| |
|---|
| პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომები. პროგრამის ხელმძღვანელები ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში.<br>პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით (4 ადმინისტრაციული და 3 დამხმარე პერსონალი). ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ფაკულტეტის დებულება;<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;<br>• ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის CV;<br>• ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/<br>• ინტერვიუები;<br>• პერსონალის პირადი საქმეები;<br>• აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა<br>• აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული წინა პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;<br>• აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;<br>• უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>• ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის გადამზადება სწავლის შედეგების შეფასებასა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა, 4. სტანდარტის კომპონენტი 4.2. ,,აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება"-ს მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თანდართული დოკუმენტაციითა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციით.

უნივერსიტეტი პერიოდულად ახდენს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევით გამოკითხვას, სასწავლო პროცესის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, თუმცა არ ხდება შეფასების შედეგების გათვალისწინება, მაგალითად, პერსონალის სხვადასხვა სახით წახალისება და ა.შ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულად დანერგვის (იხ. რეკომენდაცია 1.2) შემდეგ შესაძლებელი გახდება პროგრამაში ჩართულ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე სისტემატურად განხორციელდეს შეფასება და მარტივი იქნება შედეგების ანალიზი.

უსდ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა). პროგრამაში ჩართული ნაწილი აკადემიური პერსონალი ენობრივი ბარიერის გამო ნაკლებად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში, კველევებსა და კონფერენციებში. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ მიმდინარე წლიდან უსდ პერსონალის განვითარების მიზნით დაიწყო უცხო ენების ტრენინგების ჩატარება.

უსდ-მ მიზანშეწონილია მუდმივად იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და მათი პროფესიული ზრდისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/
- საერთაშორისო მემორანდუმები;
- წინა პროგრამის სტუდენტების გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგები;
- სტუდენტთა მიღწევები შესაბამის აკადემიურ დისციპლინებში;
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა).
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- მიზანშეწონილია უსდ-მა/ფაკულტეტმა პერმანენტულად გააგრძელოს

| |
|---|
| აკადემიური პერსონალის უცხო ენებში ტრენინგების შეთავაზება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) მითითებულ სავალდებულო ლიტერატურას და სხვა სასწავლო მასალას. უნივერსიტეტის სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. ბიბლიოთეკაში არსებობს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი და კომპიუტერებითა და ინტერნეტით შეუზღუდავად სარგებლობის შესაძლებლობა. ხელმისაწვდომია პრინტერისა და ქსეროქსის აპარატი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული): სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, ნაშრომების კრებულებით, ბიბლიოგრაფიული ცნობარებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით, თუმცა სასურველია გაგრძელდეს სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შეძენის პროცესი.<br><br>მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ და იყენებენ არსებულ რესურსს საჭიროების მიხედვით. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ვებ–გვერდი: https://www.sou.edu.ge/
- ელექტრონული სწავლების სისტემის პორტალი: https://students.sou.edu.ge/login
- საბიბლიოთეკო ფონდებით/ საბიბლიოთეკო ინტერნეტ რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ.
- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება წინა პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან;
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია გაგრძელდეს სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შეძენის პროცესი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გამოყენებითი სტატისტიკის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტაციით წარმოდგენილ ბიუჯეტში ასახული იყო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი კომპონენტები, რომელიც ითვალისწინებდა,

| |
|---|
| უნივერსიტეტის სახელით პროგრამაში ჩართული პროფესორების სამეცნიერო მივლინებებს, ტრენინგებს, კონფერენციებს, გაცვლით პროექტებს, უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურის შეძენას, საკანცელარიო საქონელს და სხვა ხარჯებს. მართალია თავდაპირველად წარმოდგენილი ბიუჯეტის თანხები ზოგიერთ პუნქტში ძალზედ მწირი იყო, თუმცა ინტერვიუს დროს წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და პროგრამის 2019 წლის ბიუჯეტები, სადაც თანხები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ყველა კომპონენტში.<br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაწერილია მუხლების მიხედვით და გათვალისწინებულია, როგორც სასწავლო და ისე კვლევით კომპონენტისათვის, შესაბამისად დადასტურებულია პროგრამის ფინანსური მდგრადობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• სსუ ბიუჯეტი;<br>• წარმოდგენილი პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი. |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | √ | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული N05/01 – 20, 20.04.2012 დადგენილებით გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს, თუმცა გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში ნაკლებადაა ამოქმედებული.

პროგრამის განხორციელების შიდა შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შიდა შეფასებად გამოყენებულია პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა. შიდა შეფასებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნები და რეკომენდაციები. უმჯობესი იქნება თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შექმნის შეფასების სისტემებს, რომელშიც აქტიურად იქნებიან ჩართულები სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რადგან უნივერსიტეტში სწავლის ხარისხის შესაფასებლად არიან სწორედ სტუდენტები და მათგან მიღებული უკუკავშირი ბევრად დაეხმარება უნივერსიტეტს და უშუალოდ პროგრამას დაუსახოს შემდგომი განვითარების პერსპექტივები. დოკუმენტაციიდან ჩანდა, რომ დამსაქმებლებიც არიან შიდა შეფასებაში ჩართულები, თუმცა ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ პროგრამის განვითარებაში ნაკლებად მონაწილეობენ. უმჯობესი იქნება თუ ამას უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა.

უნივერსიტეტს აქვს დამუშავებული კითხვარები, თუმცა წინა პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ ისინი არ ღებულობდნენ არანაირი სახის გამოკითხვებში მონაწილეობას, შესაბამისად რეკომენდებულია ხარისხის სამსახურმა რეალურად განავითაროს გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში ხარისხის უზრუნველყოფის "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი.

უმჯობესი იქნება პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა უკეთ მოახდინოს შეფასების შედეგების ანალიზი და დაადგინოს აკადემიური პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები.

თვითშეფასების ანგარიში შეცდომით იქნა წარმოდგენილი რეაკრედიტაციაზე და მასში ვხვდებით მთელი რიგ ხარვეზებს. მაგალითად, ძლიერ მხარეში მოხსენიებულია მაღალი მობილობა, მაშინ როცა მობილობით საერთოდ არც ერთ სტუდენტს არ უსარგებლია და სხვა.

რეკომენდებულია უსდ-მ და ხარისხის სამსახურმა ყურადღება მიაქციოს

| |
|---|
| ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარებას პროგრამასთან მიმართებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილება - 20.04.2012, #05/01–20;<br>• თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები;<br>• კურიკულუმის განვითარების კომისიის სხდომის ოქმები;<br>• მემორანდუმები;<br>• გამოკითხვის შედეგები;<br>• ინტერვიუ წინა პროგრამის სტუდენტებთან, გამოყენებითი მათემატიკის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;<br>• ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>➢ რეკომენდებულია ხარისხის სამსახურმა რეალურად განავითაროს გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში ხარისხის უზრუნველყოფის "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი.<br>➢ რეკომენდებულია ხარისხის სამსახურმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარება პროგრამასთან მიმართებაში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის გარე შეფასება ხდება, როგორც სსიპ განათლების განვითარების ხარისხის ცენტრის მიერ, ასევე გარე ექსპერტების მიერ.

გარე თვითშეფასების პროცესი შეიძლება დასრულდეს გარე ექსპერტის მიერ რეკომენდაციების მიღებით პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის, თუმცა წარმოდგენილ გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გარე ექსპერტს შენიშვნები არ ჰქონია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება;
- პროგრამის მონაწილე პირთა გამოკითხვის ანალიზი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის გარე შეფასების მექანიზმების გასაუმჯობესებლად შეძლებისდაგვარად ქართველ ექსპერტთან ერთად მოხდეს უცხოელი ექსპერტის ჩართვა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება მოიცავს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს და შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

| |
|---|
| წინა პროგრამის გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამაში ჩართული მხარეების ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მართალია დაწესებულებაში დეტალურადაა გაწერილი რეგულაციები, ფაკულტეტზე ნაწილობრივ არის ამოქმედებული წინა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემა, რაც უზრუნველყოფდა პროგრამის გაუმჯობესებას.<br>სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების ინტენსიური შეფასება უფრო ეფექტური იქნებოდა. წინა პროგრამის სტუდენტებისა და კურდამთავრებულების ინფორმაციით მათ არც პროგრამის და არც სასწავლო კურსების შეფასება არ მოუხდენიათ, ამიტომ მიზანშეწონილია ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება განხორციელდეს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობითაც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• პერსონალის აქტივობები;<br>• გამოყენებითი სტატისტიკის სამაგისტრო პროგრამის კომპეტენციების კვლევა;<br>• წინა პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;<br>• წინა პროგრამის სტუდენტთა და ლექტორთა გამოკითხვის ანალიზები;<br>• ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ რეკომენდებულია ამოქმედდეს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში;<br>➢ მიზანშეწონილია ხარისხის სამსახურმა სისტემატურად განახორციელოს პროგრამის სისტემატური მონიტორინგი და შეფასება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | √ | |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამოყენებითი სტატისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | √ |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | √ |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | √ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | √ | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

**რუსუდან სეთურიძე**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

**სიმონ გელაშვილი**



**ნინო აბესაძე**



**ბაჩუკ ბოკუჩავა**